დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდეგ, რომელიც ადგენს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს მის საგანმანათლებლო პროგრამებზე მორგებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დისტანციური სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვისა და ადმინისტრირების წესი, რომელიც, შესაბამისობაშია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესთან და ამასთანავე, ითვალისწინებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასა და საჭიროებებს.

მუხლი 2. მიზანი

1. დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფციისა და ადმინისტრირების წესის მიზანია, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვროს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით სწავლების სპეციფიკა.

მუხლი 3. სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში გამოყენებული ელექტრონული პლატფორმები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დისტანციურ სასწავლო პროცესში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა LMS და სასწავლო პლატფორმა Moodle (e-learning-ზე).

2. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ონლაინ პლატფორმა Zoom.

3. ზემოთ ჩამოთვლილი პლატფორმების სავალდებულო გამოყენების გარდა, დამატებითი მასალების მიწოდება, კონსულტირება, სტუდენტებთან კომუნიკაცია ლექტორებსა და სასემინარო, სამუშაო ჯგუფებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხელმძღვანელებს სურვილისამებრ შეუძლიათ სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (Skype, Meet, Classroom და სხვ.).

მუხლი 4. პროგრამული დაგეგმვა ელექტრონული სწავლებისათვის

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან კოორდინაციით, დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული სწავლების ფორმატს ამტკიცებს ჯერ ფაკულტეტის საბჭო და შემდგომ აკადემიური საბჭო. კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები გადადიან შერეულ ასინქრონულ/სინქრონულ ელექტრონულ სწავლებაზე. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება.

2. როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული კომუნიკაციისას ლექტორი სასწავლო კურსის გაციფრულებულ პროგრამულ მასალებს (სასწავლო ლიტერატურას, სალექციო კურსებსა და ჩანაწერებს, სალექციო პრეზენტაციებს... და სხვ.) ყოველკვირეულად აწვდის სტუდენტებს ელექტრონული სისტემა LMS-ის მეშვეობით ან სასწავლო პლატფორმა Moodle-ზე ელექტრონული კურსის განთავსებით (e-learning-ზე), შესაბამისი აუცილებელი მითითებებითა და ინსტრუქციითურთ, რაც სტუდენტებს საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვასა და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესს გაუადვილებს (უწყვეტი სასწავლო გეგმა გულისხმობს მომდევნო კვირის მასალის არაუგვიანეს მიმდინარე კვირის დასასრულს ატვირთვას).

3. ასინქრონული კომუნიკაციისას ლექტორი ყოველკვირეულ სალექციო აქტივობას განხორციელებს ონლაინპლატფორმა zoom-ის მეშვეობით ცხრილით მითითებულ დროს ყოველკვირეული ლექციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მიწოდებით (google drive-ზე ატვირთვის საშუალებით).

4. ონლაინპლატფორმა zoom-ის მეშვეობით სინქრონული კომუნიკაციის წარმართვისას ლექტორს შეუძლია ჩაიწეროს ონლაინლექცია და google drive-ზე ატვირთვით ხელმისაწვდომი გახადოს საგანზე დარეგისტირებული ყველა სტუდენტისთვის, აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის წვდომას სალექციო მასალის ახსნაზე.

5. სასემინარო, სამუშაო ჯგუფებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ინტერაქტიული აქტივობები განხორციელდება ონლაინპლატფორმა zoom-ის მეშვეობით ცხრილით მითითებულ დროს.

6. სწავლა-სწავლების მეთოდთა შორის ელექტრონული რესურსებით სწავლა-სწავლების სავალდებულო წესით ჩართვამ აუცილებელი გახადა გარკვეული ცვლილებები

კურიკულუმის დაგეგმვაში, სასწავლო კურსების შესაბამისი აქტივობებისა და შეფასების ფორმებში.
არსებული არაპროგნოზირებადი მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვროს გამარტივებული, ყველა სასწავლო კურსისთვის ადვილად მოსარგები და გასაგები შეფასების სისტემა (40% + 60%).
ნებისმიერ სასწავლო კურსს დაუწესდეს მხოლოდ ერთი შუალედური გამოცდა (არაცენტრალიზებული), რომლის ფორმასაც, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ადგენს ლექტორი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და რომელიც სწავლის დაწყებიდან მე-9-მე-10 კვირაში ჩატარდება.

დასკვნით გამოცდამდე სტუდენტის მიერ დასაგროვებელი ქულების მაქსიმუმი განისაზღვროს **40 ქულით**, საიდანაც

- სემინარებზე/სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე სემესტრული აქტივობა შეფასდეს **25 ქულით** (ეს აქტივობა კურსის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს შეფასებული კვირეული გამოკითხვით, საშინაო დავალებებით, ესსე/რეფერატით, პრეზენტაციით და ა.შ.);
- შუალედური გამოცდა განისაზღვროს **15 ქულით**;

(დასკვნით გამოცდაზე დაიშვას სტუდენტი, რომელიც სემესტრული შეფასებების 40 ქულიდან დააგროვებს მინიმუმ 11 ქულას).

დასკვნითი გამოცდის შეფასება განისაზღვროს **60 ქულით** (ენების შემსწავლელი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში კომბინირებული ფინალური წერა/ზეპირი გამოცდით **30+30 ქულა**)
(დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვალოს, თუ სტუდენტი დააგროვებს 60-დან 30 ქულას (კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში 15+15 ქულას).

7. ნებისმიერი სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდისათვის, გარდა არსებული ფორმისა, დასაშვებად იქნეს მიჩნეული როგორც მხოლოდ ზეპირი (ონლაინ), ასევე კომბინირებული გამოცდის (წერა და ზეპირი) ჩატარება პროგრამის ხელმძღვანელისა და საგნის ლექტორის გადაწყვეტილებით (ზეპირი გამოცდის პროცესის ჩაწერა მოხდება ონლაინპლატფორმა zoom-ის მეშვეობით).
ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობისა და სასწავლო დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით კურიკულუმებში სასწავლო კურსების სწავლების მეთოდებსა და შეფასების სისტემის კომპონენტებში შესული ცვლილებები დამტკიცებული უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოზე.

მუხლი 5. ელექტონული სწავლების დაწყება და ვადები

1. ელექტრონული სწავლება 2020 წლის 23 მარტიდან გაგრძელდება ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული სიტუაციის გაჯანსაღებამდე.
2. პირველი ორი სასწავლო კვირის განმავლობაში სავალდებულო იქნება სტუდენტებისათვის სავალდებული სასწავლო მასალის მიწოდება LMS-ის პლატფორმის გამოყენებით და მესამე სასწავლო კვირიდან დაემატება სინქრონული/ასინქრონული ფორმით აუდიო/ვიდეოლექციების ჩატარება პლატფორმა zoom-ის გამოყენებით და სურვილის შემთხვევაში, დამატებითი მასალების მიწოდება,

კონსულტირება სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (Skype, Meet, Classroom და სხვ.).

მუხლი 6. დისტანციური ელექტრონული სწავლების პროცესის ორგანიზება და ადმინისტრირება

1. დისტანციური ელექტრონული სწავლების პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიზნით ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით იქმნება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი (დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი), რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის ტექნიკურ საკითხებში მხარდაჭერა, სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის კონსულტირება და სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის მონიტორინგი (მათ შორის, ონლაინ ლექციებზე, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება).

მუხლი 7. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელების უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესით.
2. ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტომასალა, მათ შორის, ე.წ. „სქრინშოთი", წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ მათი მოსმენისას და შენახვისას. სტუდენტებთან კომუნიკაცია განხორციელდეს მათი საჭიროებების გათვალისწინებითა და მათი პირადი სივრცის პატივისცემის პრინციპის დაცვით, რადგან ელექტრონული (ონლაინ) სწავლებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი.
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საგანგებო ვითარებაში საკუთარი სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მომზადებული სალექციო მასალები (ვიდეო/აუდიოლექციები, სალექციო პრეზენტაციები და სხვ.) გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ამ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო საგნებზე რეგისტრირებულ სტუდენტთა მიერ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, დანიშნულებისამებრ - დაუშვებელია მათი გაზიარება არაუფლებამოსილი მესამე პირებისათვის და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომად ქცევა, მათ შორის, სოციალური ქსელების მეშვეობით სხვადასხვა ჯგუფებში. ყველა ასეთი შემთხვევით შესაძლოა, შეიქმნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევის პრეცედენტი.